

(Sermon on Sts Constantin & Helen. May 21)

# მოციქულთა სწორ მეფე კონსტანტინესი და დედოფალ ელენეს ხსენების დღისადმი მიძღვნილ სიტყვა. ხსენების დღე 21 მაისი

(24 მაისი 2020 წ.)

21 მაისს ეკლესია დიდი სიხარულთ აღნიშნავს მოციქულთა სწორის ორი დიდი წმინდანის ხსენების დღეს და იხსენებს უფლოსადმი მათ დიდ დამსახურებას. ესენი არიან წმინდა კონსტანტინე და მისი დედა წმინდა ელენე.

წმ. კონსტანტინე დაიბადა ქ. ნილოსში (ყოფილ ქ. ნიში სერბიაში) დაახლოებით 275 წელს. მისი მამა, კონსტანტი ხლორი, წარმოშობით ბერძენი - ილირიელ იყო რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილს იმპერატორი. დედა წმ. კონსტანტინესი - წმ. ელენე იყო კეთილ და მორწმუნე ქრისტიანი, რომელც ქ. დრეპანში, ბიფინიაში (მცირე აზია) დაახლოებით 247 წ. ჩვ. წ. აღ-ით დაიბადა. ისტორიამ უწოდა წმ. კონსტანტინეს „დიდი“ მისი სიბრძნის გამო პოლიტიკაში, სამხედრო უნარისა და მამაცობისთვის. იმპერატორ კონსტანტინეს დიდი როლი მიუძღვის აღმოსავლეთის, რომის იმპერიის განვითარებაში, მან გადაიტანა დედაქალაქი რომიდან ბიზანტიაში, ქალაქში, რომელმაც მის საპატივსაცემოდ კონსტანტინეპოლს სახელწოდება მიიღო. ეს გახდა საწყისი ბიზანტიის ცივილიზაციის ათასწლოვანი აყვავებისა, გახდა დასაბამი დიდი სამხატრო ქმნილებებისა, რომლებმაც გაამდიდრეს არა მარტო იმპერიის არამედ სხვა ხალხთა კულტურა. ეკლესია პატივით იხსენებს წმ. კონსტანტინეს როგორც მოციქულთა სწორს, მისი დიდი დამსახურებისა და ქრისტიანულ წრმენის დაცვის გამო ხალხთა შორის და მთელს იმპერიაში.

სახელგანთქმული შეთანხმება, რომელც დაიდო 313 წელს ჩვ. წ. აღ-ით წმ. კონსტანტინესა და ლიცინიუს შორის და რომელმაც მიიღო მილანის ედიქტის სახელწოდება, რომის იმპერიის მოქალაქეებს ნება დართო რელიგიური თავისუფლებისა. დევნა შეწყდა, ქრისტიანები ციხეებიდან გაანთავისუფლეს და ყველს, ვინც იდევენებოდა დიოკლიტიანესა და ლიცინიუსის მიერ, უფლება მიეცათ სახლში დაბრუნებულყვნენ. მთელს იმპერიაში, რათა გაეადვილებინა ეკლესიებში საღვრთო მსახურება, იმპერატორმა კონსტანტინემ დაწერა კვირა დღე, როგორც განსაკუთრებული, საეკლესიო მსახურებისთვის. მან აგრეთვე დააწესა საეკლესიო წესრიგი, მოიწვია პირველი მსოფლიო კრება ნიკეაში, ბიფინიაში, ჩვ. წ. აღ-ით 305 წელს. ამ კრებამ დაგმო არიანული ესესი, ჩამოაყალბა ქრისტიანული დოქტრინა და მიიღო „მრწამსი“. მან ააშენა შესანიშნავი ეკლესიები, ისეთები, როგორიცაა წმ. ირინას ეკლესია კონსტანტინეპოლში, და წმინდა მოციქულების სახელობის ეკლესია, რომლისთვისაც მან შეაგროვა ყველს წმ. მოციქულს წმ. ნაწილები.

მისი მეგობარი და ხელმძღვანელ ამ შესანიშნავ სულიერ წამოწყებაში იყო მისი დედა, ქრისტიანი წმ. ელენე. მან

შეუფასებელი წვლელ შეიტანა ქრისტიანობის განმტკიცებაში, როდესაც გაემგზავრა წმინდა მიწაზე, რათა მოეძებნა ცხოველყოფილი უფლის ჯვარი. მისი ძალისხმევით იყო აშენებული ქრისტეს აღდგომის ტაძარი იერუსალიმში, უფლის შობის ეკლესია ბეთლემში და სხვა მრავალ ტაძრები. დარჩენილ ცხოვრება მან მიუძღვნა ლოცვასა და საოცარ ქველმოქმედებით სამუშაოებს, მან დაასრულა თავისი მიწიერი სიცოცხლე დაახლოებით 328 წელს ჩვ. წ. აღ-ით ოთხმოცი წლის ასაკში. ეკლესიამ შერაცნა იგი მოციქულთა სწორის წმინდათა რიგებში და მის ხსენების დღეს აღნიშნავს იმავე დღეს, რომელსაც - მისი ძის, მოციქულთა სწორის წმ. კონსტანტინესი.

მისი შინაარსით საოცარია წმ. კონსტანტინეს ნათლობის ამბავი, რომელიც მიიღო მომავალმა რომის იმპერატორმა, თავისი ცხოვრების ბოლოს; რომელიც აღწერა პალესტინის კაცრიის ეპისკოპოსმა ევსევმა, ეპისკოპოსმა ევსევმა აღწერა იმპერატორის ცხოვრება, მისი უდიდესი შეწირულობები და კეთილ საქმეები.

მოხუცობულობისას, როდესაც მან მთელი თავისი ცხოვრება ქრისტიანობის განმტკიცებას მიუძღვნა, წმ. კონსტანტინემ იგრძნო, რომ მისი სული მზადაა მიიღოს წმ. ნათლობა. მან მოიწვია მართა დიდებულ ეპისკოპოსები, განუცხადა თავისი სურვილი ნათლობისა და შემდეგი დასამახსოვრებელი სიტყვა თქვა: „მოვიდა სანატრელი დრო, რომელსაც მე დიდი ხანია ველოდები და რომლისთვისაც ვლოცულობ, როგორც ხსნის დროზე. დროა მივიღო უკვდავების ბეჭედი, და ვუკავშირდე ხსნის მადლს“.

მაშინ ეპისკოპოსებმა ნეტარი კონსტანტინე მონათლეს. წმინდა ზიარების მიღების შემდეგ მან უფალი ადიდა, თუთრ სამოსელში შემოსილი ნათლობის დროს, მან არ გაიხადა ის სიკვდილის ბოლომდე. წმ. კონსტანტინე გარდაიცვალა ფერიცვალებას, 22 მაისს 337 წ. ჩვ. წ. აღ-ით სამოცდასამი წლის ასაკში.

დიდი იმპერატორისა და წმ. კონსტანტინეს ცხოვრების შესწავლით ჩვენ ვხედავთ რომ არც უმაღლესი სახელმწიფოებრივი მდგომარეობა, არც საზოგადოებრივი სიდიადე, რომელიც მას თან სდევდა, არასოდეს არ აბრკოლებდა მის სულიერ სწრაფვას. მის სულს უფრო მეტის კეთება სურდა, მის სულს ნამდვილი ხსნა სწყუროდა, რასაც მისი ცხოვრების უვანასკნელი დღეები მოწმობს. ღრმა მონანიების შემდეგ თავისი განვლილ ცხოვრების ცოდვების გამო, კონსტანტინემ მიიღო წმინდა ნათლობა და სულიერად გაიხარა, აღივსო მადლმოსილი სინარულით მას აღარ სურდა ამქვეყნიური დიდება. როგორც წერს ეპისკოპოსი ევსევნი, მან უარი განაცხადა ჩაეცვა იმპერატორის მეწამულ ტანსაცმელს. თავისი ბოლო სამადლობელი ლოცვა, „ხმა აღიმალს“, მეფემ ასეთი სიტყვებით დაასრულა: „ენლ თავს ვგრძნობ ნამდვილად ნეტარად რადგან გამაჩნია ურყევი რწმენა, რომ მე შევუერთდი საღვთო სინათლეს და ღირსი გავხდი უკვდავი ცხოვრებისა“.

ჩემო ძვირფასო ძმებო და დებო, წმ. მოციქულთა სწორის მეფე კონსტანტინეს ცხოვრების მაგალითი, თითოეული ჩვენგანის წინაშე კითხვას ვსვამ: ვგრძნობთ თუ არა იმ მადლსა და ღირსებას, რომელიც ჩვენ ნათლობით მივიღეთ? ვთვლით თუ არა, რომ თუ ვეკუთნით ქრისტეს ეკლესიას, მაშინ უნდა ვიყოთ ამადლებული მიწიერ სიდიადეზე, სიმდიდრეზე, წოდებაზე ან მიღწევაზე? რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენგანისათვის სულიერი

შრომა, რათა ღირსნი გავხვდეთ სამუდამო ცხოვრებისა და ცათა  
სასუფევლისა?

მოდით დავფიქრდეთ ამაზე და იმის და მიხედვით ვიმოქმედოთ  
ვთხოვით შუამავლობა წმ. მოციქულთა სწორ კონსტანტინესა და  
ელენეს.